

## ამირანის დასჯის მიზეზები „ამირანიანის“ სვანურ ვარიანტებში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული აზრის თანახმად, მიჯაჭვა ამირანიანის ურთულესი სტრუქტურული კომპონენტია. მის ჭეშმარიტ მეცნიერულ დონეზე გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძეგლთან დაკავშირებული ისეთი რთული პრობლემების სწორად დასმისა თუ გადაწყვეტისათვის, როგორებიცაა ცენტრალური გმირის ბუნება, წარმომავლობა, მისია და სხვა. დავძენთ, რომ ამირანის დასჯის მიზეზები ჩვენ შესწავლილი გვაქვს საქართველოს მთისა და ბარის კუთხეთა ვარიანტების მიხედვით. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია რვა წერილში. წინამდებარე, მე-9 წერილი, სვანურ ჩანაწერებს ეხება, რომლებიც საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სპეციფიკურობით გამოირჩევა. ძეგლის სიუჟეტურად სრული ვარიანტების რაოდენობა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით საგრძნობლად მეტია სვანურ ფოლკლორში. ისინი გამოირჩევა თემატური სიახლით, არქაულობითა და მხატვრული სიძლიერით. მოულოდნელი აქ არაფერია, ვინაიდან სვანეთი სამეგრელოსთან ერთად ურთულესი ტომობრივი ერთეულია საქართველოსი, ყველაზე მაღალმთიანი, მკვეთრად გამორჩეული ორიგინალური ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალით, ტრადიციებითა და უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნებით და სხვა. ბუნებრივია, აქ ამირანის ეპოსს უმთავრესი ადგილი უკავია. სწორედ მასშია წარმოჩენილი მთელი სისრულითა და არქაულობით ქართველი ხალხის მსოფლწარმოდგენითი ნიშნები უძველესი დროიდან დღემდე. მათ კვლევას კი ისევ საერთო ქართულ ძირებამდე მივყავართ, მაგრამ ტომში, თემსა თუ საგვარეულო ერთეულში, ცალკეულ სოფლებში, ასევე, ოჯახებში არსებული წეს-ჩვეულებები საკმაო სპეციფიკურობით გამოირჩევა, იმდენად, რომ მათ ანალოგი არ დაეძებნება სხვა კუთხეთა ყოფიერებაში, ამიტომ ისინი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ამირანის ეპოსთან დაკავშირებული სირთულეები, არამედ მხოლოდ სვანური ყოფიერებისათვის დამახასიათებელი, გვარში თუ ოჯახში გაუმჟღავნებელი რელიგიური ლოცვები, რიტუალები, რომლებიც ღიად სრულდება, მაგრამ ლოცვის აღმსრულებლის გარდა, იგი ოჯახის სხვა წევრებისთვისაც გაუგებარი რჩება. მსგავსი რიტუალი ქალების მხრიდან საერთო რელიგიურ დღესასწაულებზეც სრულდება, მაგრამ, ვიმეორებთ, საიდუმლოდ... სწორედ ესაა გასათვალისწინებელი და თვალში საცემიც ამირანის მოძიებულ ვარიანტებშიც. მათი წვდომა გადაულახავი სირთულეების წინაშე გვაყენებს. აქ მთქმელთა რწმენა-წარმოდგენების სიჭრელე და ინდივიდუალური ცნობიერებაა გასათვალისწინებელი.

წინამდებარე წერილში განსახილველად წარმოდგენილია ქალღანისეული, გურჩიანისეული და გულეღანისეული ვარიანტები\*. ისინი დღემდე ცნობილი ჩანანერებისაგან გამოირჩევა თემატური სიახლითა და რთული სიუჟეტური აღნაგობით. დასმულ საკითხთან დაკავშირებით, რასაკვირველია, სრულადაა გათვალისწინებული საარქივო მასალები. წინასწარ უნდა გაცხადდეს, რომ ცენტრალური გმირის დასჯის უმთავრესი მიზეზი სვანურ ვარიანტებში ქრისტეს თავდებობის სამგზის დარღვევაა. სვანური ჩანანერების ამ და სხვა კუთხეების თავისებურებას ზ. კიკნაძემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, ამირანი ისჯება უფალთან გატოლების მცდელობისათვის, ფიცის სამგზის გატეხისათვის (კიკნაძე 2001: 40). იმავე აზრისაა რ. ჩხეიძე (ჩხეიძე 1991: 51).

პირველ ყოვლისა, შევჩერდებით ქალღანისეულ ვარიანტზე „ამირმ“ (ქალღანის... 1957: 256). შესავალი ნაწილი საკმაოდ ორიგინალურია. ახალი პერსონაჟია ივა ხელმწიფე, ნათელმხილველი, წინასწარმეტყველური ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული. მისმა სამმა ვაჟიშვილმა: ბადრიმ, ვისიბმა აჩლამკალამმა, – შენიშნავს მთქმელი, – დევები ძირიან-ფესვიანად ამოწყვიტეს... ქვეყანა მათ აქებს... ერთ დღეს, სანადიროდ წასულებმა, უღელტეხილზე შენიშნეს დახვეული ხარის ტყავი, რომელიც ზოგჯერ ისე სწრაფად ტრიალებს, რომ კაცი ძლივს მოავლებს თვალს, ძმების ნასროლ ისრებს ახლოსაც არ იკარებს, ნამსხვრევებს უბრუნებს უკან. ასე გაგრძელდა სამი დღე. მესამე ღამეს დადარდიანებულმა ძმებმა ყველაფერი უამბეს ივა მამას. სწორედ აქ გამოჩნდა პირველად მთელი თავისი ძალმოსილებით ივა მამის ღვთიურთან თანაზიარი სიბრძნე, წინასწარმეტყველება. მან შვილები დაამშვიდა და აუწყა, რომ ხარის ტყავში ანგელოზის შვილია გახვეული და მთაზე იმიტომაა დასმული, რომ ადამიანად გარდაიქმნას. „თქვენ სამივე მხრიდან შემოერთყვით ირგვლივ, რომ იორდანეს წყაროსკენ გაგზავნოთ. მანამდე კი ეს ბადე, რომელიც მე ჩემმა ნათლია ქრისტე ღმერთმა მიბოძა და თავისი ძალმოსილებაც ქედ დააბედა, ჩადგით იორდანეს წყალში და ეცადეთ, რომ ტყავი ბადეში გაეზას; სანამ იორდანეს წყლით არ გაიჟღინთოს, მანამდე ხელი არ ახლოთ... ძმებიც ასე მოიქცნენ და საღამოს ტყავი შინ მოიტანეს... ივა მამამ წინასწარ გადაკეტა კარ-ფანჯრები, ტყავი გახსნეს და იქიდან ლამპარით მანათობელი ვაჟი გადმოეშვა, ჭერისკენ დაიწყო ფრენა, გასასვლელს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. მეორე დღეს ჩამოვიდა ძირს და კერასთან, ე.ი. ოჯახის ცენტრთან დადგა, ადამიანად გარდაქმნილი. თავისივე გადანწყვეტილებით ისევ შებრუნდა ტყავში, სამი დღე და ღამე დაჰყო და მერე გამოვიდა. ამ დროს ქრისტე ღმერთი მობრძანდა, მონათლა ბავშვი, ამირანი უწოდა. სახლი დალოცა და წარბრძანდა“. ამონარიდი ვრცელია, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ამირანის ღვთიური ბუნების, წარმომავლობის წარმოსადგენად, რომ იგი მიწაზე ჩამოშვებული ზეციური ყრმაა. მისი მისიაც ადამიანთა საცხოვრისში ბოროტი ძალის განადგურებაა. იგი სწორად ივა მამის ოჯახში ეზიარა მიწიერ საიდუმლოებებს. თვით ივა მამა ამირანისა და ბადრის, უსუბის, ჩალამკალამის მუდმივი მეთვალყურე და მათ ქმედებათა გამგებელია. დავაჟკაცებული ძმები

\* ვრცლად იხ. წიგნში ო. ონიანი. *კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში*. თბილისი: „უნივერსალი“, 2009. მასალებს ვიმონებთ ამ გამოცემიდან.

სპობენ და ანადგურებენ ადამიანთა მავნე, ბოროტ ძალებს – დევებს, ამასთანავე ჭეშმარიტი მონადირეები არიან. როცა ამირანის მიჯაჭვაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ხდება მისი ხანგრძლივი საგმირო-სარაინდო ქმედებათა და ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლების ბოლოს. ამირანმა თავისი მისია, ფაქტიურად, აღასრულა კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ბუნებრივია, ეს ერთბაშად ვერ მოხდებოდა. მას წინ უძღოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ბოროტი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ივა მამის ბრძნული შეგონებებისა და რაინდული, ღვთიურთან წილნაყარი სულიერი ძალმოსილებით აღესრულებოდა. ასე, მაგალითად, ამირანმა, როგორც ახლად მოვლენილმა ზეციურმა ყრმამ, უკვე ადამიანში განსხეულებულმა, პირველად ივა მამის თვალის დაკარგვის საიდუმლოება იკითხა. მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი ღრმა დაკვირვებას საჭიროებს. მისი ამოცნობა მნიშვნელოვნად დაგვეხმარება სხვა სირთულეთა გარკვევაშიც, მათ შორის მიჯაჭვისა. ივა მამამ აუნყა, თუ როგორ წარსტაცა თვალი ბაყბაყ დევმა. ძმები გაუდგნენ გზას და უდაბურ ტყეში გზა აებნათ, ვერაფრით გაიგეს, საით უნდა წასულიყვნენ. ამირანმა დაუჩოქა თავის ნათლია ქრისტეს: მაღლი ექნა და შეებრალებინა თავისი ნათლული, არ დაეტოვებინა ამ უდაბურ ტყეში უსაქმოდ დასაღუპავად.

ნათლიისაგან ხმა მოესმა: ქრისტეს თავდებობას გაუფრთხილდეს, თუ არა, სამჯერ გატეხვის შემდეგ ისიც ვერაფერს შეძლებს. ახლა ამას გაყვესო, – და მისმა ნათლიამ მტრედი გამოგზავნა გზის მაჩვენებლად. მტრედმა გამოიყვანა ტყიდან. როდესაც ვაკე ადგილი გამოჩნდა, მტრედი გაქრა. რასაკვირველია, ქრისტე ღმერთის ამგვარი გაფრთხილება უკომენტაროდაა მისაღები. მისი დაცვა წმიდათაწმიდა ვალია. რასთან გვაქვს საქმე ამირანის ქმედებაში? მან დევის ქალიშვილს, რომელსაც ივა მამის თვალი ოქროს თეფშზე ედო, ხანჯალი დააბჯინა ყელზე და უბრძანა, იმნამსვე მიეცა მისი ბაბუის თვალი. დევის ქალიშვილმა უთხრა: ქრისტეს თავდებობა მომეცი, რომ არ მომკლავო... ამირანმა მისცა ქრისტეს თავდებობა, მაგრამ ივა მამამისის თვალის ხელში ჩაგდების შემდეგ მოკლა. პირველად აქ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა...

ერთ დღეს ძმები საჯიხვეზე სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ ვერაფერი მოინადირეს. მზის ჩასვლისას დაინახეს, რომ უღელტეხილს ორთქლი ასდიოდა. ძმებმა მეორე შუადღეს მიაღწიეს ამ უღელტეხილამდე, ნახეს, რომ მინას შეზრდილი ქვის ხვრელებიდან მოედინებოდა ორთქლი. ამირანმა ნაბადი დაასველა, შემოიხვია და ქვის ქვეშ ჩახტა. იქ დევი ნახა. სტაცეს ხელი ერთიმეორეს. გასაჭირის ჟამს ამირანმა დედის მუცლიდან გამოყოლილი ვეფხვის კუდი ამოიღო, დევს წვივები გადაუმტვრია. მერვე, მეცხრე თავის მოჭრამდე დევმა ამირანს ქრისტეს თავდებობა მიაცემინა და ცეცხლის საიდუმლო გაუმჟღავნა. „ამ ცეცხლით პურსა და სხვა საჭმელს მოამზადებთ და ადამიანის საქმე ათასი წლით წავა წინო“. ეს რომ მოისმინა ამირანმა, მეცხრე თავიც მოჭრა. მეორედ აქ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა.

გამარჯვებული ძმები წამოვიდნენ შინისკენ და ერთ ადგილას დაინახეს, რომ შავ დედაბერს კალო ჰქონდა მოფენილი ჩვილი ბავშვების თავებით. კვერში ება უღელი ხარი, თვითონ ზედ იჯდა და სიმღერ-სიმღერით ლენდა. ამირანი მიეჭრა, თავში ხელი

ნაავლო და ყელზე ხანჯალი მიაბჯინა: მითხარი რა ამბავიაო? დედაბერმა ქრისტეს თავდებობის მიცემაზე დაითანხმა, რომ არ მოკლავდა. ამირანიც დათანხმდა. დედაბერმა უთხრა: შენ ბაყბაყ დევი მოკალი, მისმა ძმამ თქვენი ოჯახის ამონყვეტა გადანყვეტა. ამ კალოს განალენი მეორეა. თუ მას ეზოში დავყროთ, თქვენ და თქვენს სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანი ქვად იქცევაო. თქვენს ბაბუას კი იორდანის წყალი მისახურეთ და მორჩებაო. ეს რომ მოისმინა ამირანმა, დედაბერსაც თავი მოჭრა. მესამედ აქ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა... ამის შემდეგ გადმოცემულია ამირანის გმირობა, მისი მეტოქე არავინ აღმოჩნდა.

ერთ დღეს ჩამოიარა ქრისტე ღმერთმა, ამირანი შეეხვეწა: მინაზე მყოფი ვერავინ მერევა და ერთი შენ დამეჭიდევო. ქრისტემ უპასუხა: აქ სირცხვილიაო. ავიდნენ კლდის წვერზე, დავაკებულ ადგილზე გაჩერდნენ. ნათლიამ უთხრა: ამ ჯოხს ჩავასობ კლდეში, თუ ამოაძრობ, დაგეჭიდებო. ამირანმა ორჯერ ამოაძრო, მესამედ ძვრაც ვერ უყო.

მთელი ეს მასალა რთული გასააზრებელია. ერთი შეხედვით მარტივი ჩანს, ვინაიდან ცენტრალური გმირი წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ სამჯერ ქრისტეს თავდებობის დარღვევის შემთხვევაში დაისჯებოდა. არადა სასჯელი თითქოს მხოლოდ მაცხოვრის საჭიდაოდ გამოწვევის შედეგად დაიმსახურა. ასეც შეიძლება იფიქროს მკითხველმაც და მკვლევარმაც, საკამათოც არაფერი იქნება, მაგრამ თუ ახსნას მოვინდომებთ, გმირის ამგვარ დასჯას თეორიული, ღრმად რელიგიური საფუძვლები აქვს. საქმე შემდეგშია: ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა ძეგლის კვლევის ისტორიაში, რომ ქრისტე ღმერთი უდაბურ ტყეში გზაარეულ ამირანს კოსმოსიდან ასე პირდაპირ ეხმიანებოდეს და დამხმარედ მტრედს აგზავნიდეს, თან აუწყებდეს, რომ გაუფრთხილდეს ქრისტეს თავდებობას, ვინაიდან ამ თავდებობის სამჯერ გატეხვის შემდეგ ისიც, ე.ი. თვით მაცხოვარიც, მის შველას ველარ შეძლებს. ასე მარტივად თქმულ სიტყვებში კაცობრიობისთვის სამომავლო მნიშვნელობის სიბრძნეა ჩადებული, რომლის ამოცნობა და პრაქტიკული განხორციელება ადამიანთა მოდგმის წმიდათანმიდა ვალია. მაცხოვრის სიტყვები მინიერ საუფლოში შეიძლებოდა თქმულიყო მხოლოდ ამირანის, როგორც ანგელოზის შვილის მიმართ, რომელიც ადამიანად უნდა გარდაქმნილიყო, თანაც მინიერი საუფლოს ყველაზე წმიდათანმიდა ადგილას, ზეკარზე. ნაწარმოებიდან ვიცით, რომ ეს გარდაქმნა განხორციელდა და ამირანიც უშუალოდ ქრისტეს ნათლულის ღვთიური მადლით მოსილ ივა მამის ოჯახში აღიზარდა, შესაბამისად, ეს საიდუმლოებით მოცული პროცესი, მაღალი იერარქიული საუფლოებიდან დაშვებული კოსმიური მადლიც აღსრულდა. ივა მამის ოჯახში ამირანი ბევრ მინიერ საიდუმლოს ეზიარა და ძმებთან ერთად შეუდარებელ რაინდად ჩამოყალიბდა. მაცხოვრის ზემოთმოტანილი სიტყვები იმის უეჭველი დადასტურებაა, რომ ამირანი უმაღლეს სულიერ არსებათა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, რომ ნათლიის სიტყვების ცნობიერი გააზრება და აღსრულება მისი ხვედრია. ამირანი, როგორც ანგელოზის შვილი, ადამიანის ფიზიკურ სხეულშია გარდასახული, ეს კი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა: მინიერი საუფლოს განვითარებაც ახალსა და მაღალ საფეხურებს უნდა ეზიაროს, აქაც კოსმიური სიახლეები უნდა დამკვიდრდეს. ცხადია, მინიერს თავისი

დამოუკიდებელი, იდუმალებით მოცული სირთულეები ახლავს. აქ ხომ ერთ-ერთი უმთავრესთაგანი არსებობის ფიზიკური ფორმაა. რასაკვირველია, ადამიანი ვერ იქნება ყველგან და ყველაფერში უშეცდომო, უძლეველი. ასეთი მხოლოდ ღმერთია. ამიტომ, რომ ამირანის ქმედებათა შეფასებისას მკვლევარი ყოველთვის რთული ამოცანის, უფრო ზუსტად, არჩევანის წინაშე დგას. მიგვაჩნია, რომ ცენტრალური გმირის საგმირო საქმეებზე მსჯელობისას მისი ქმედება სულიერი თვალთაა დასანახი და გასაზომი. ამირანი მთელი თავისი გმირობებითა და რაინდული ქმედებებით ბოროტებასთან პირისპირ ბრძოლაშია ჩართული. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. აქ კომრომისი გამორიცხებულია. სვანთა რწმენით, ბოროტი ძალის შეწყალებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. იგი უნდა მოისპოს. ამ თვალსაზრისით, ადამიანად გარდაქმნილი (ანგელოზის შვილი) ამირანის ქმედება გასაგებია. იგი შეუბრალებლად ანადგურებს მოწინააღმდეგე ბოროტ ძალებს, მაგრამ ქრისტე ღმერთის ზემოთქმული სიტყვები, რომ უფლის თავდებობა ყველა შემთხვევაში უნდა დაიცვას, რთული ამოცანის წინაშე გვაყენებს. ამირანი ხომ მაღალი, კოსმიური პრინციპების დასამკვიდრებლადაა მოვლენილი ადამიანთა საცხოვრისში, რომელსაც უტყვი, იდუმალებით მოცული ტრადიცია აქვს და რომლისადმი მორჩილების ცნობიერებაც მტკიცედ არის გამჯდარი გვარის, თემის თუ ტომის თითოეული წევრის რწმენა-წარმოდგენებში. ყოველივე ეს ანგარიშგასაწევია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამირანი გამონაკლისია ადამიანთა მოდემის ისტორიაში, მას ხომ პირდაპირი კავშირი აქვს უმაღლეს იერარქიულ ძალებთან. მიუხედავად ამგვარი ზეაღმატებული სულიერებისა, ამირანი ისე ღრმადაა შეჭრილი წმინდა ადამიანური ყოფიერების სირთულეში, უკვე ისეა ნასაზრდოები და ჩაძირული ამ ყოფიერების საიდუმლოებით მოცულ სიღრმისეულ პრინციპებში, რომ მისთვის მოსასპობი აღმოჩნდა ბოროტება, როგორც ადამიანებისათვის საშიში, ხელისშემშლელი ძალა. კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანური აზროვნება ამის იქით ვერ იხედება. აქ ბევრი რამაა გასათვალისწინებელი. გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სიბრძნით აღსავსე მითოლოგია. მორიგე ღმერთმა ადამიანთა უკიდურესი გასაჭირის ჟამს კოპალა და იახსარი მოავლინა დევთა გასანადგურებლად, მაგრამ აქ ბოროტებასთან ადამიანთა დამოკიდებულებაც სპეციფიკურია. საბოლოოდ, ფაქტი ფაქტად რჩება: დამოუკიდებლად წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ინდივიდუალური თუ კოლექტიური მსხვერპლით მთავრდება და ტრადიციული სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „გამარჯვებულს არ ასამართლებენ“. მიუხედავად ამისა, ქრისტეს თავდებობის დაცვა წმიდათაწმიდა ვალია და ის უცილობლად უნდა აღსრულდეს; მაცხოვრის სახელით დადებულ ფიცს არ ელაღატება. მიზანი უნდა იყოს არა ბოროტების მოსპობა, არამედ გარდაქმნა, მისი სიკეთის სამსახურში ჩაყენება, როგორც ამას დალის ციკლის სამონადირო ბალადაში „თეთრი მანგური“ ვხვდებით.

ამჯერად ჩვენ ამირანის ეპოსი გვაინტერესებს. ცენტრალური გმირის წმინდა ადამიანურ ცდუნებებს, შეცდომებს ვერ გამოვრიცხავთ, რამეთუ ფიზიკური არსებობა გარეგნული თუ შინაგანი წინააღმდეგობებითაა ძლიერი და მისი ზემოქმედება გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართება ადამიანის მოღვაწეობის გზაზე. ადამი-

ანთა ურთიერთობები ერთმანეთისთვის მიცემული პირობების დაცვაზე დამყარებული. ფიცის მიცემა განსაკუთრებული ვალდებულების წინაშე აყენებს ადამიანებს, მით უმეტეს, ღმერთის სახელით მიცემული თავდებობა. გავიხსენოთ ძველი დრო: გვარში, თემში, ტომში შეთანხმებული პირობების დარღვევა კონფლიქტებისა და ომების მიზეზი ხდებოდა, ამ შემთხვევაში კი მაღალ სულიერებასთან გვაქვს საქმე. აქცენტი ღმერთის სახელით მიცემულ ფიცზე, თავდებობაზე, სიტყვაზეა გადატანილი. მისი ცნობიერი გააზრება ძალზე ძნელია. ძველის მიხედვით, ქვესკნელში ჩასული ამირანი ცეცხლის საიდუმლოების გაგების გამო დათანხმდება დევს ქრისტეს თავდებობის მიცემაზე, ე.ი. ბოროტება უზარმაზარ სიბრძნეს, საიდუმლოებას ფლობს; მან ძალიან კარგად იცის, რომ ამირანი მის წინააღმდეგაა მოვლენილი უმაღლესი იერარქიული ძალების, ღმერთების მიერ, ისიც იცის, რომ ქრისტეს თავდებობის მიცემა ერთადერთი საშუალებაა ამირანის შეჩერებისა, რომ ამ თავდებობის დარღვევით ამირანი დაისჯება. ასეთი სულიერი გამოცდის წინაშე აღმოჩნდება ჩვენი გმირი. ჩვენ ვიცით, რა მოიმოქმედა, როგორი არჩევანი გააკეთა მან, როდესაც გადამწყვეტი ჟამი დადგა. ცეცხლის მოპოვების საიდუმლოებით მან ადამიანთა მოდგმა განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა, მაგრამ ქრისტეს თავდებობა დაარღვია და თვითონაც დაისაჯა. აქ შეიძლება კუთხის შორეული ტრადიციის ანარეკლი დავინახოთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ამირანის მხრიდან ქრისტეს წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი არ ჩანს. ამ შემთხვევაში წამყვანი მაინც კუთხის რწმენა-წარმოდგენათა სპეციფიკურობაა, რომლის მიხედვითაც, სიტყვის ძალმოსილება ღმერთიდან იღებს სათავეს; თავად ღმერთია სიტყვა: სახარებად იოანესიც ამას გვაუწყებს: 1. „პირველად იყო სიტყვაა, და სიტყვაა იგი ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“. 2. „ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“. ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვისაც ეროვნული ერთიანობისა და სიმტკიცის საფუძველთა საფუძველი, გადამრჩენი ძალა სიტყვის ღვთიური ძალმოსილება იყო. ეს ქრისტიანობამდელი ტრადიციია. სწორედ ასეთ მაღალ სულიერებასაა ნაზიარები საქართველოს მთისა და ბარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ძეგლები. შესაბამისად, ამირანის ეპოსშიც სიტყვა ყოვლისმომცველია, ღმერთის სახელით დადებული ფიცის აღსრულება კი – წმიდათანმიდა.

როგორც ითქვა, ამირანის ეპოსის ზემოთ დასახელებული სამი ვარიანტი, რომლებიც თითქმის იდენტურია, საკმაო სპეციფიკურობით გამოირჩევა (მაგ. ივა მამის თვალის დაბრუნება, ცეცხლის საიდუმლოების გაგება და მისი შინ წამოღება). სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო გურჩიანისეული ვარიანტი. ფათერაკიანი თავგადასავლის შემდეგ ამირანი და მისი ძმები წავიდნენ ივა მამის თვალის დასაბრუნებლად, რომელიც მას ურად დევმა წარტაცა. ურად დევთან ბრძოლა ძნელი აღმოჩნდა; ამირანი ერთი კვირა ებრძოდა მას და ბოლოს სძლია. „დამიბრუნე ჩემი მამის თვალი, თორემ ამოგიღენავ სულს“... დევმა უთხრა: „აბა ის თვალი ჩემ ქალიშვილს აქვს... თუ მოერევი რამენაირად, თვალს დაგიბრუნებს... მაგრამ თვალთან ერთად პატარა სახოციც მოგცეს, თორემ უმისოდ თვალი არ ჩაედგმება

მამაშენს. თვალს რომ ჩაუდგამ, სახოცი გამოუსვი, თვალი უკეთესად ჩაეყენება”. ამირანმა დევს რომ საიდუმლოება გამოსძალა, მოკლა. როგორც ვხედავთ, ურად დევმა მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუმხილა ამირანს: სახოცის იდუმალი ძალა, ურომლისოდაც ივა მამას თვალი არ ჩაედგმებოდა... ძალიან გაუჭირდა ამირანს დევის ქალიშვილთან ბრძოლა, რომელიც ლახტით ებრძოდა, კინალამ მოერია. ამირანს გაახსენდა ვეფხვის კუდი, დაჰკრა ქალიშვილს ფეხებზე და გადაუმტვრია... ქალიშვილმა ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა. ამირანმაც მისცა. ქალიშვილმა გაანდო საიდუმლოება, რომ ივას თვალი ოქროს თასზეაო. სანამ მე სახოცს არ მოგცემ, მანამდე ამ თასიდან თვალს ვერავინ ამოიღებსო. ამ საინით თვალი სახლში წაიღე და ჯერ საინით დადგი თვალი, შემდეგ საინს გაუსვი ქვეშიდან სახოცი. თვალი რომ მოშორდება, იმის შემდეგ ჩაუყენე შენს მამას, სახოცი გაჰკარი და უფრო უკეთესით შეენაცვლებო... ამირანმა დაარღვია ქრისტეს თავდებობა და ქალიშვილი მოკლა.

დამონშებული მასალა ძალიან საინტერესოა. ვფიქრობთ, რომ ვრცელი ახსნა-განმარტება აღარაა საჭირო. მხოლოდ მივუთითებთ: სახოცის საიდუმლოება ახალი ელემენტია ამირანის კვლევის ისტორიაში. ამირანიანის ყველა მკვლევარი ამირანის მიჯაჭვას სამართლიანად თვლის უმთავრესი მნიშვნელობის პრობლემად. არადა ცენტრალური გმირის ფათერაკებით აღსავსე რაინდული ქმედებებიდან, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ისეთი ფაქტები უნდა წამოვნიოთ წინ, რომელთა აღსრულებაზეც არის დამოკიდებული ადამიანთა მოდგმის მომავალი. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია ადამიანებისთვის ცეცხლის მოტანა, ბოროტი ძალებისაგან სასიცოცხლო სივრცის დაბრუნება, წესრიგის დამყარება. კაცობრიობამ რომ სულიერი ზეალსვლის მაღალ საფეხურს მიაღწიოს, თავადაც ღვთიური საწყისების თანაზიარი უნდა გახდეს, საბოლოოდ კი ფიზიკური საუფლო, ადამიანთა საცხოვრისიც განახლებულ, კოსმიურთან თანახმიერ თანაარსებობას უნდა აზიაროს. სწორედ ამგვარი მისიის აღმსრულებლად არის მოვლენილი ამირანი და არა ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლად. ამ დიდი მიზნების მიღწევის გზაზე უკვე ადამიანად გარდასახული ამირანი ვერ იქნება უშეცდომო, რამეთუ ბოროტება მუდამ საშიშია, უზარმაზარ სიბრძნეს ფლობს, განვითარების ღვთიური აზრი კი ისაა, რომ ადამიანებმა შეძლონ ამ სიბრძნის დაუფლება, ბოროტების ისეთნაირად განიარაღება, რომ მისი გარდაქმნა შესაძლებელი იყოს. რასაკვირველია, ამირანი ბოროტების განადგურების გამო კი არაა დასჯილი, არამედ ქრისტეს თავდებობის დარღვევის გამოა მიჯაჭვული. ისევე გავიხსენოთ ურად დევის ქალიშვილთან შეხვედრა – აქ ერთი საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. დევის მოკვლის შემდეგ ამირანმა მონახა ის სადგომი, სადაც დევის ქალიშვილი ისვენებდა, ნახა, რომ თეფშზე ედო თვალი და ერთობოდა. **„ეს თვალი ისეთნაირად ბზინავს, რომ თვალს ძლივს ასწრებს კაცი“**. ეს ეპიზოდი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ივა მამის სახით საქმე გვაქვს სამყაროსეული მნიშვნელობის ინდივიდთან. მას ხომ ქრისტე ღმერთმა ბადე აჩუქა, „მისი ძალაც ზედ დაანათლა“. ივა მამის სიტყვებში ღრმა ღვთიური სიბრძნეა ჩადებული. მასში ფარული მინიშნებაა იმაზე, რომ ივა ხელმწიფის სახით მინიერ საუფლოში განსაკუთრებული პიროვნებაა შემოსული. აქ ისიც იგულისხმება, რომ ანგელოზის შვილის, ამირანის, ფიზიკურ სამყაროში შემოსლა და მოღვაწეობა ღმერთის და-

ბადებით, უშუალოდ ივას ოჯახში შემოსვლით, აღზრდითა და მოღვაწეობით უნდა განხორციელებულიყო. აი, ასეთი განსაკუთრებული სირთულეები იჩინეს თავს ამირანის დასჯასთან დაკავშირებით. როგორც ითქვა, ამირანის გარდაქმნა ადამიანად მაღალი იერარქიული ძალების უშუალო ნებით კაცობრიობის სასიკეთოდ განხორციელდა და არა ღმერთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომაც, რომ ცენტრალური გმირის საგმირო-სარაინდო ქმედებათა გახსენებას და ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გმირის მიჯაჭვის სწორად გაგებისათვის. გურჩიანისეულ ვარიანტშიც ამირანმა ქვესკნელის ძალებს (ქეშეკ დევს) წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ადამიანებს მისი გამოყენება ასწავლა, მაგრამ ამგვარი ზოგადსაკაცობრიო მისიის აღსრულება ძვირი დაუჯდა. მან ქრისტეს თავდებობა დაარღვია და მოკლა ქეშეკ დევი. ეს პროცესი მნიშვნელოვანი სპეციფიკურობითაა აღწერილი. შერკინება ერთი კვირა გაგრძელდა. მთქმელის შენიშვნით, „ვერც ერთმა ვერ დასძალა, მაშინ ამირანი მოერია ყოვლის მძლევი ვეფხვის კუდით, რვა თავი მოჭრა“. დავაკვირდეთ ქეშეკ დევის სიტყვებს: „ამირანო, ქრისტეს თავსდება (მარჯვენა ხელი) მომეცი, რომ არ მომკლავო“, ე.ი. ამირანი მარჯვენა ხელის ჩამორთმევით, ფაქტიურად, შერიგებით, აძლევს ფიცს, სიტყვას, რომ არ მოკლავს. ამდენად, სიტყვიერი ფიცის დასტურად მარჯვენა ხელის ჩამორთმევაა საჭირო. საქმის გარჩევის ან ფიცზე გასვლის შემთხვევაშიც გულითადობის დამადასტურებლად მონინააღმდეგეები ხელს ართმევდნენ ერთმანეთს. სიტყვის ურყევობაც ამით მტკიცდებოდა. ამირანმაც მისცა დევს ქრისტეს პირობა. ქეშეკ დევმაც გაანდო ცეცხლის საიდუმლო: „თქვენი ცეცხლი, – უთხრა ქეშეკ დევმა, – არ ვარგა პურის საცხობლად. აიტანე ეს ცეცხლი, ამის დანთება დაასწავლე ხალხს იმის შემდეგ ყველას ეცოდინება პურის ცხობა. ამის წასაღებ ს ა ხ ო ც ს მე მოგცემ და მაშინ გზაზე არ გაგიქრება“ (მთქმელი ზაქარია გურჩიანი, ჭუბერი, 1944, ჩამწერი გულედანი; მთარგმნელი ალი დავითიანი). სახოცის საიდუმლო საიდუმლოებად რჩება. დამონმებულის მიხედვით, მხოლოდ მასში გახვეული ცეცხლი არ ჩაქრება. როცა საუბარია ამირანის მიჯაჭვაზე და იმაზე, რომ მან ფიცი გატეხა, აქ უნდა გავითვალისწინოთ ქეშეკ დევის ბოლო სიტყვები: მო დავრჩები აქ სამუდამოდ, აქაურ მცველად, ე.ი. ძველებურ მდგომარეობაშიო... ეს უთხრა და სახოცი გადასცა. რა იგულისხმება, ან რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ სიტყვებში, არის თუ არა ის სანდო, ამჯერად ამაზე საუბრისაგან თავს შევიკავებთ. აქ მეორედ გატეხა ამირანმა მიცემული ფიცი. მესამედ კი შავ დედაბერთან, რომელსაც კალო ჩვილი ბავშვების თავებით ჰქონდა სავსე, კვერზე ება ხარები და ლენდა. ამის შემდეგ ამირანი და მისი ძმები შინ დაბრუნდნენ, გახარებულნი იყვნენ. ამირანს ქრისტეს თავდებობა გატეხილი ჰქონდა და არ ეცხოვრებოდა. “ერთ დღეს მინდორში იყო და ისე ერჩენა უბრალო კაცისმაგვარად თავისი ნათლია ქრისტე და შეუბერა ამირანს და შეაგდო დიდი მაღალი კლდის გამოქვაბულში. ამირანი იმაში დარჩა და დალოცვილიმც იყავით“. როგორც ვხედავთ, ამ ვარიანტში არ გვხვდება ამირანის მიერ ქრისტეს საჭიდაოდ გამოწვევა. უმთავრესი აზრი გურჩიანისეული ჩანაწერისა ისაა, რომ ქრისტეს თავდებობის დარღვევა იმდენად მიუტყვებელია,



რომ თვით მაცხოვარმაც უსიტყვოდ, ყოველგვარი გაფრთხილების თუ განმარტების გარეშე შეაგდო იგი დიდი, მაღალი კლდის გამოქვაბულში.

ამირანის მიჯაჭვა მნიშვნელოვანი სპეციფიკურობითაა წარმოდგენილი გულე-დანისეულ ვარიანტში. უმთავრეს მონინალმდეგეებად აქაც ურად დევი, მისი ქალიშვილი და ქეშეკ დევი არიან წარმოდგენილნი. ივა მამას თვალი ურად დევმა წარსტაცა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად წასულ ძმებს გზა აერიათ. ამირანმა დაიწყო და შესთხოვა თავის ნათლიას: „ჩემო ნათლია ქრისტე, გვიშველე რამე და გზის მაჩვენებელი, სანიშნობელი მოგვეცი რამე, თორემ ხომ ხედავ, გზას ვერ ვაგნებთ მე და ჩემი ძმები“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ცაზე გამოჩნდა თეთრი მტრედი, რომელიც გამოუშვა ქრისტემ გზის მაჩვენებლად. ძმები გაჰყვნენ მტრედს და მიაღწიეს ურად დევის სამყოფ ადგილამდე და მტრედიც გაქრა. გავიმეორებთ: განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტების ამგვარი სისრულითა და სიზუსტით დამოწმება საჭიროდ მიგვაჩნია, რომ დავრწმუნდეთ ცენტრალური გმირის, ამირანის, მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ფუნქციაზე არა მარტო ქართული კულტურის ისტორიაში. ამირანი უმაღლესი სულიერი არსებების გამოდმებული მეთვალყურეობის ქვეშაა. უფრო მეტიც. რასაც თავად ამირანი უკიდურესი გასაჭირის ჟამს შესთხოვს ღმერთს, კონკრეტულ შემთხვევაში თავის ნათლია იესო ქრისტეს, უცილობლად უსრულდება. ღვთიური მაცნე, მტრედი, უტყუარი მინიშნებაა, რომ ამირანი და მისი ძმები შინ გამარჯვებულები დაბრუნდებიან, რომ ძმათა მისია ბოროტი ძალებისაგან ადამიანთა მოდგმის განთავისუფლებაა. ამირანმა ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა. მართალია, ადამიანური ცდუნებით, მაგრამ მაინც აღასრულა. დავაკვირდეთ: ურად მეფის სასახლეს სამ წყებად გველეშაპთა ლაშქარი არტყია. ამირანმა მათთან საბრძოლველად ძმები ჩაგზავნა. ძმებმა, მართალია, გველეშაპთა ლაშქარი მოსპეს, სამი დღე და ღამე ებრძოდნენ, მაგრამ დაღლილები მკვდრებივით დაეყარნენ მიწაზე. სამივე ძმა ამირანმა მოასულიერა, ე.ი. ენერგია შემატა. რა საშუალებებით? მთქმელი დუმს, არაფერს ამბობს... ურად დევთან ბრძოლა კიდევ უფრო ორიგინალურად არის წარმოჩენილი ნაწარმოებში. საინტერესოა, რომ ურად დევს სამი თავი და ცხრა ხელი ჰქონდა. ამირანმა ორი თავი და რვა ხელი მოჭრა. ეს უთხრა: „მამაჩემის თვალი დამიბრუნე, თუ არა მოგათავებო. დევმა უპასუხა: ჩემს ქალიშვილს აქვს, ცხრაკლიტულშია, მისი მორევა გაგიჭირდებათ, მაგრამ ერთ ჩემ თავს როცა მომჭრით, მოსდევით ჩემ ქალიშვილს ფეხში და გამოსწიეთ, მხოლოდ მაშინ წაიქცევა და თასიც გაუვარდება ხელიდან. ამის შემდეგ მას ძალა წაერთმევაო“. ამირანმა მოკლა ურად დევი. საინტერესოა ურად დევის დარიგება. ფაქტიურად, მან გათქვა ქალიშვილის საიდუმლო ისე, რომ ქრისტეს თავდებობა არ უთხოვია. ამირანიც ასე მოიქცა. დევის ქალიშვილს თასი ხელიდან გაუვარდა, ძალა წაერთვა. ქრისტეს თავდებობა მოსთხოვა ამირანს. ამირანიც დათანხმდა. დევის ქალიშვილმა ასწავლა, როგორ ჩაესვა თვალი ივა მამისათვის. ამირანმა დევის ქალიშვილი მოკლა. პირველად აქ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა. ქალდანისეულ და გურჩიანისეულ ვარიანტებთან შედარებით განსხვავებულადაა წარმოჩენილი ცეცხლის მოპოვება. ძმები საგმირო საქმეებზე იყვნენ წასულნი და მიადგნენ ერთ წყაროს, რომელსაც ისეთი

ოხშივარი ასდიოდა, რომ საკირე გეგონებოდა, თან ტირილი ისმოდა ქვის ქვეშეთიდან. ძმებმა ძვრაც ვერ უყვეს. აქაც ამირანი „მუხლებზე დაჩოქილი შეევედრა თავის ნათლიას, რომ ეშველა მისთვის“. დავაკვირდეთ მთქმელის სიტყვებს: მართალია, ქრისტე ნაწყენი იყო ნათლულზე, რადგან ერთხელ გატეხა მისი თავდებობა, მაგრამ ამჟამად აპატია და ციდან გადმოუგდო სველი ნაბადი. ამირანი გაეხვია ამ ნაბადში და შეძვრა ხვრელში. „შესვლით შევიდა, მაგრამ სიცხემ ნაბადი დაწვა“... დევთან შებრძოლების ეპიზოდში ყველაზე ნათლადაა წარმოჩენილი ამირანის ჭეშმარიტი ბუნება, მისია. ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ძეგლის კვლევის ისტორიაში, რომ ნათლია იესო ქრისტე ასე უშუალოდ, პირდაპირ ეხმარება ამირანს მისიის აღსრულებაში, კერძოდ კი, ცეცხლის მოპოვებაში. კომენტარი აღარაა საჭირო: ნათლია ქრისტეს მიერ კოსმოსიდან სველი ნაბდის გადმოგდება ამირანისათვის ქვესკნელში უვნებლად ჩასასავლელად სიახლეა ძეგლის კვლევის ისტორიაში. ცხადია ისიც, რომ მსგავსი საშუალება ადამიანთა საუფლოში აღარ არსებობდა, რომ ამირანმა თავისი მისია მხოლოდ უმაღლესი იერარქიული ძალების უშუალო ჩარევით აღასრულა – ქვესკნელის ძალებს ცეცხლი წარსტაცა, სამზეოზე ამოიტანა და ადამიანებს მისი გამოყენება ასწავლა. დავაკვირდეთ ცენტრალური გმირის ქვესკნელში ჩასვლას და ქეშეკ დევთან შებრძოლებას: „ისეთი სიძლიერით დაეტაკნენ ერთმანეთს, რომ ქვაბის კუთხეში დანთებულმა ცეცხლმა ცეკვა დაიწყო. გასაჭირის ჟამს დევს ვეფხვის კუდიტ ფეხები დაუყეფა... ამირანმა დაშნით რვა თავი მოსწყვიტა. ამ დროს ცეცხლმა დაიძახა: „ქეშეკ დევო, სთხოვე ამირანს სიცოცხლე და ჩემი თავი შეპირდი“. ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა. ამირვი გააკვირვა ცეცხლის ლაპარაკმა. ქეშეკ დევმა უთხრა: „ამირვ, თუ სიცოცხლეს მაჩუქებ და ქრისტეს თავდებობის ხელს მომცემ, ცეცხლის ამბავს გეტყვი“. – კიო, – უპასუხა ამირვმა. „აბა მომეცი ხელიო“, ამირვმაც მისცა ხელი. დევმა უთხრა: „რადგან ქრისტე დაიყენე თავდებად, მჯერა შენი. თქვენში რომ ცეცხლია, იმით პური ვერ ცხვება და იძულებული ხართ, რომ ხარშოთ. აი, აგერ რომ ცეცხლი ანთია, იმით ნაკვერჩხალს რომ ნაიღებ და ცეცხლს დაანთებ, ყველგან გატკრცილდება და პურის ცხობასაც შეეჩვევა ხალხი. შენს მეტს არავის გავატან ამას და აქ დავრჩები მის ყარაულად სამუდამოდ. ამირვმა ეს რომ გაიგონა და გაიგო ცეცხლის ამბავი, დევი მოკლა“. მართალია, ცეცხლი ამოიტანა ამირანმა კაცობრიობისათვის, მაგრამ მეორედ აქ გაუტყდა ქრისტეს თავდებობა. დამონმებული ეპიზოდი ურთულესი შინაარსისაა, მრავალმხრივ საინტერესო. მასში თითოეული წინადადება, გამოთქმა, სიტყვაც კი საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს. ამჯერად ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებთ, რამეთუ ის არ შეადგენს წინამდებარე წერილის მიზანს. აქ მხოლოდ მივუთითებთ, რომ *ამირანიანში*, როგორც გამორჩეულ ძეგლში, ერთი და იგივე მასალა განსხვავებული კუთხითა და მიზნით შეიძლება იყოს შესწავლილი და დანახული. ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ შინ მომავალმა ამირანმა დაინახა, რომ ერთ მინდორში კალოა გაკეთებული, კალო ბავშვის თავებითაა სავსე, ერთ დედაბერს კევრში დევები შეუბამს და ლენავს ამ თავებს... ამირანმა სტაცა ხელი თმებში კუდიან დედაბერს, შებორკა, შემდეგ დევები გამოუშვა კალოდან, სტაცა თავებში ხელი, მიარტყა და გაუჭეჭყა. შეშინებულმა დედაბერმა უთხრა: თუ ქრისტეს თავდებობის ხელს მომ-

ცემ, რომ არ მომკლავ, ყველაფერს გეტყვიო. ამირანმა მისცა ქრისტეს თავდებობის ხელი. დედაბერმა უთხრა: ამ ბავშვების განალენი თუ დაიყრებოდა ივა ხელმწიფის ეზოში, მაშინ ძირითა და ფესვით ამოწყდებოდა... ამის შემდეგ გადმოცემულია, რომ ამირანი გაამაყდა, მოინდომა თავის ნათლიას შეჯიბრებოდა ღონეში. ეს რომ ქრისტემ შეიტყო, გამოეცხადა მოხუცი კაცის სახით და სალამი მისცა. ნათლიამ მოჰკიდა ხელი და კლდის გამოქვაბულში შეაგდო, გადანერა ჯვარი და ისეთი მაღალი ნაპრალი გაჩნდა ამ გამოქვაბულის ქვეშ, ფრინველიც ვერ შეაღწევდა.

მრავალმხრივაა დამაფიქრებელი მთქმელის მინიშნება, რომ „ერთი მკვდარი დევის თავმა ამოაყრანტალა: „სამჯერ ქრისტეს თავდებობის გამტეხი ამ დედაბერთან მოხვდება ქვაბში“. ბოროტი ძალის სიტყვები ბევრ საფიქრალს გვიჩენს, მასში ამირანის ქმედებათა შეფასების გარდა, კიდევ უფრო ღრმა, შორს მიმავალ სირთულესთან გვაქვს საქმე. აშკარაა, რომ დემონური ძალა კაცობრიობისათვის საშიში, ჯერ კიდევ გამოუვლენელი, ავის მომასწავებელი თვისობრიობითაა წარმოდგენილი. დევის სიტყვებში წინასწარაა განჭვრეტილი ამირანის ბედისწერა, თვით ბუნებაც. კარგადაა წარმოჩენილი ნაკლოვანებები. ამირანმა კვლავ საგმირო საქმე აიჩემა. მთქმელის შენიშვნით, „ქრისტეს ებრალებოდა თავისი ნათლული, თუმცა სწყინდა მისი სახელის ფიცით გატეხვა...“ ახსნა-განმარტებებისაგან თავს ვიკავებთ. მივყვით ტექსტის თანმიმდევრობას: ამირანი გაამაყდაო, მოინდომა თავის ნათლიას შეჯიბრებოდა ღონეში. ეს რომ ქრისტემ შეიტყო, მინდოროში, ხის ქვეშ მჯდომ ამირანს გამოეცხადა მოხუცის სახით და სალამი მისცა. ამირანმა ვერ იცნო და უხეშად უპასუხა: „გამეცალე აქედან, ხომ ხედავ, ვისვენებ, შენთვის არ მცალია“. გმირის ამგვარი პასუხი, რასაკვირველია, მოულოდნელია. როგორც ზემოთ ითქვა, ნათლიამ მოჰკიდა ხელი და კლდის გამოქვაბულში შეაგდო, გადანერა პირჯვარი და ისეთი მაღალი ნაპრალი გაჩნდა ამ გამოქვაბულის ქვეშ, ფრინველიც ვერ შეაღწევდა. გამოქვაბულში ამირანს თორმეტი კუდიანი დედაბერი დახვდა ერთ მხარეს რკინის ჯაჭვით მიბმული, ხოლო თვით ამირანი მეორე მხარეს იყო მიჯაჭვული. როცა ამირანი და კუდიანები ფრჩხილებს მიაწვდენდნენ ერთმანეთს, კუდიანები მას გულმკერდზე კორტნიდნენ. როცა ხუთშაბათობით და შაბათობით ქალები იჭრიდნენ ხოლმე ხოლმე ფრჩხილებს, კუდიანებს ეზრდებოდათ ფრჩხილები და უფრო ძლიერად კორტნიდნენ ამირვს, ხოლო ორშაბათობით და კვირაობით, როცა მამაკაცების ჯერი დგებოდა, მაშინ ამირვს ემატებოდა ფრჩხილები და ახლა ის კორტნიდა კუდიანებს... შეიძლება ვრცლად მოგვეჩვენოს მასალის ამ სახით დამონშება, მაგრამ გულედანისეულ ვარიანტში ბევრი სპეციფიკური მოტივი შეინიშნება. საქმე ისაა, რომ ძეგლის ყველა ვარიანტის მიხედვით, ამირანი მარტოა გამოქვაბულში. გულედანისეულ ვერსიას კი ანალოგი არ დაეძებნება, ამდენად, საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს და დამოუკიდებლად შესასწავლი... მართალია, გულედანისეულ ვარიანტში პირდაპირაა მითითებული ამირანის გადაჭარბებულ სიამაყეზე – „მოინდომა ნათლია ქრისტეს გაჯიბრებოდა ღონეში“ – მაგრამ ესეც ერთი ნიშანია იმისა, თუ როგორ თანდათანობით შორდება ამირანი ღვთიურს და როგორი სიმძლავრით იკვეთება მასში წმინდა ადამიანური საწყისი; როგორ თანდათანობით იჭლინთება და იმსჭვალება იგი მინიერი არსებობის მაცთუნებელი

ძალებით. ამგვარი მსჯელობის უფლებას გვაძლევს გულედანისეული ჩანაწერი. მიუხედავად ამისა, სამივე ვარიანტის ტექსტოლოგიური ანალიზი, კერძოდ, ამირანის დასჯის მიზეზების კვლევა, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ქალდანისეულ, გურჩიანისეულ და გულედანისეულ ვარიანტებში, მართალია, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ერთი და იმავე მიზეზით არის წარმოდგენილი ცენტრალური გმირის, ამირანის, დასჯა – ესაა სამჯერ ქრისტეს თავდებობის დაუცველობა.

#### **დამონეგანი:**

**კიკნაძე 2001:** კიკნაძე, ზ. *ქართული ხალხური ეპოსი*. თბილისი: „ლოგოს პრესი“, 2001.

**ონიანი 2009:** ონიანი, ო. *კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში*. წიგნი I. თბილისი: „უნივერსალი“, 2009.

**ჩხეიძე 1991:** ჩხეიძე, რ. *ამირანის თქმულება*. თბილისი: „ნაკადული“, 1991.

**Otar Oniani**

*(Georgia, Tbilisi)*

## **The Reasons for Amirani’s Punishment in the Svan Versions**

### **Summary**

**Key words:** Amirany, Svan Versions of Amirany myth.

According to the opinion, recognized in Amiranology, thematic novelties related to the monument, archaicities and punishment of the central hero have been preserved in the most complete and varied forms in the Svan versions. Despite this, the results of textual research require revision. The inner nature of Amirani, a cosmic hero reincarnated as a human, the paths and stages of transformation, the reasons causing certain temptations or human errors, the local Svan mentality, etc., are not well identified. In this respects, Kaldani, Gurchiani and Guledani versions must be singled out. Precisely in them the hero of divine origin, called the son of an angel is shown. The matured Amirani, being in extreme need, appeals to his godfather, God Christ, asks for help and receives it. The hero is always under the supervision of the highest hierarchical forces and they help him in the victory over evil forces. It’s impossible even to admit that Amirani will ever have a desire to go against God; here we can only talk about human weaknesses or mistakes. In this particular case, one should take into account the local Svan mentality according to which the evil must be destroyed, because it constantly carries a danger to humanity. Amirani so deeply enters the depths of human existence, so deeply intertwined with humanity that he makes mistakes, breaks with evil powers the vows given to Christ and is punished. In all three versions, Amirani tore fire from underground forces, brought to the surface and taught people how to use it.